Ц. Исторический Архив
Фонд № 2117 оп. 1 ед.хр. № 160

13s

საქართველოს
ეროვნული
არქივი

# ქართველ ერს.

მეოთხე „26 მაისს“ საქართველო ოკუპაციაში ხვდება. შეიძლება ითქვას, რომ 1924 წელს საქართველოს მდგომარეობა ოკუპანტების ბატონობაში გაცილებით უარესია, ვიდრე წარსულ და წინა წლებში. დღეს აღარ არსებობს დამოუკიდებლობის ის ნასახებიც კი, რომელთაგან ზოგი ისევ ინერციულად განაგრძობდა სიცოცხლეს, ზოგიც, როგორც „მოჩვენება“, განძრახ ნებადართული თვით ოკუპანტებისაგან. არასოდეს, ამ ოთხი წლის განმავლობაში, საქართველო არ ყოფილა ისეთი პროვინცია რუსეთისა, როგორც სწორედ მეოთხე წელში გახდა. საქართველოს არა აქვს თავისი გარეშე პოლიტიკა, მას არა აქვს საკუთარი ფინანსები, მას არა ჰყავს თავისი ჯარი, შინაური პოლიტიკა კი პირდაპირ ნაკარნახევია მოსკოვიდან. ყველა ეს უფლებები საქართველოს გამოჰგლიჯეს ვითომდა ამიერ-კავკასიის ფედერატიულ მთავრობისთვის, ამ უკანასკნელს კი ჩამოართვა მოსკოვმა. ყველა ეს რეფორმები სწორედ 1924 წ. დამთავრდა. აი რატომ ვამბობთ, რომ ქვეყნის მდგომარეობა დღეს უარესია ვიდრე გუშინ. არასოდეს არც ერთ ქვეყანას არ ჰყოლია ისეთი სამარცხვინო მთავრობა, როგორც საქართველოს. ეს არის მთავრობა მოკლებული ეროვნულ ღირსებას და პატიოსნებას, შემდგარი მოსკოვის მიერ ჩაყენებულ პირებისგან, რომელთაც ქართველი ხალხი მოღალატეებს და გამყიდველებს უწოდებს.

რუსეთმა წაართვა საქართველოს პოლიტიკური უფლებები და ს. ს. რესპუბლიკების კავშირის სახით თვითონ ასრულებს მის წარმომადგენლობის როლს ევროპაში. მაგრამ რამდენადაა ეს წარმომადგენლობა, ყველამ იცის. არ არის მთავრობა უფრო აშკარად იზოლებული მსოფლიოში, ვიდრე ს. ს. რ. კავშირის მთავრობა. მან აქამდის არ იცის, ვინ არის მისი მეგობარი. ევროპაში, კერძოდ გერმანიაში, მომხდარი ფაქტები ამის თვალსაჩინო მაგალითია. ეს გარემოება ხელს არ უშლის რუსეთს ნამდვილი პატრონი და მბრძანებელი იყოს კავშირში ძალით შეყვანილ ყველა ერებისა და აწარმოოს ამ ერების დამღუპველი პოლიტიკა. არავითარი იმედი იმისა, რომ ევროპა შეურიგდება რუსულ კომუნისტურ რეჟიმს. არ უნდა ავურიოთ ერთმანეთში რუსეთის დეფაქტო ცნობა და ევროპის საქმიანი კავშირი დაჭერა რუსეთთან. მათ შორის დიდი მანძილია და პირველს, რომ მიაღწიოს კიდევ რუსეთმა, ვერ მიაღწევს იმას, რომ ევროპამ საქმიანი და ფართო კავშირი გააბას მასთან. ამის ხელის შემშლელია ის ბარბაროსული რეჟიმი, რომელსაც ასეთის სიფიცხით მისდევს რუსეთი.

და ყველა ამის წყალობით საქართველო მოწყვეტილია სასტიკ ბლოკადის რკალში, რუსეთმა ჩამოგვაშორა ევროპას, ... ზღვის ურთიერთობას, იმ საგარეო პროგრესს, რომელსაც აღწევენ განათლებული ერები. ... დღეს ახალ რეჟიმი მოაქვს ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისთვის. არ არის ჩვენს ქვეყანაში ვაჭრობა, აღებმიცემობა, ფინანსიური მდგომარეობა. ქვეყანა სულს და პარტახდება ყოველდღე. რასაც ჯერ კიდევ გუშინ სიცოცხლის ცოტა ნიშან-წყალი ჰქონდა და ამ აუწერელ კრიზისის დროს ერთად ერთი საქმიანობა საბჭოთა მთავრობის და კომუნისტური პარტიისა გამოიხატება იმაში, რომ თითქმის ყოველ დღე მართავს „სრულიად საქართველოს“ ყრილობების, რევოლუციის დღესასწაულებს, იუბილეებს, აწყობს ზეიმს იერიშებს, ჰკეტავს ეკლესიებს და ხსნის „რულეტკას“, გამოჰყავს ქუჩაში ცხენები. ამით ვითომ კომუნისტური რეჟიმს ამტკიცებს და იმავე დროს კრძალავს პრესის თავისუფლებას, ყრილობებს, მართავს პროცესებს სამღვდელოებაზე, იჭერს ხალხს, ასახლებს საქართველოდან, ხვრეტავს ჩეკის სარდაფში და მოსკოვის კარნახით სპობს ყოველივეს, რაც კი ქართველ ეროვნულ ნიშანს ატარებს.

წლევანდელი 1 მაისი იმიტომაცაა ჩვენთვის გლოვის დღე, რომ 26 მაისს შესრულდება ერთი წელი მას აქეთ, რაც მოსკოვის დაქირავებულმა ჯალათებმა — ორჯონიკიძე — ორახელაშვილი — პანკრატოვ — მიასნიკიანცებმა სრულიად გამოურკვევლად და გაუსამართლებლად, ვითომ და საქართველოს ღალატისათვის, დახვრიტეს ხუთი სასიქადულო მამულიშვილნი, ცნობილი საზოგადო და სამხედრო მოღვაწენი. ამ წამებულთა დახვრეტის წლის თავზე ქართველობა მადლობით მოიხსენიებს ამათ და მათთან ერთად ყველა იმ ერისთვის გმირ ქართველებს, რომელნიც აწამა საოკუპაციო მთავრობამ და რომელსაც დღესაც განაგრძობს დახვრეტას ფარულად, მათი გვამების გამოუცხადებლად.

შეიძლება ასე დიდხანს გაგრძელდეს ქართველ ხალხის ტანჯვა—წამება? არა.

კომუნისტურ რუსეთს ჩვენ მივყავართ საშინელ კატასტროფისკენ და არაა შორს ის დრო, როდესაც ის „შენობა“, რომელსაც „საბჭოთა სახელმწიფო“ ჰქვიან, დაემხობა. საჭიროა მხოლოდ მოთმინება, ძალების დაზოგვა, შეერთებულობა და ურყევი რწმენა, რომ საქართველო დაიბრუნებს თავის დამოუკიდებლობას, ქართველი ხალხი იხსნის თავს ოკუპანტების ბრჭყალებიდან.

**საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი.**

თბილისი
26 მაისი 1924

სტამბა საქართველოს დამოუკიდებლობის

საქართველოს ეროვნული არქივი